

# შპს „მწვანე მუხები“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

## ფინანსური ანგარიშგება

|                                                           |   |
|-----------------------------------------------------------|---|
| მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ..... | 1 |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....                  | 2 |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....           | 3 |

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

|                                                           |    |
|-----------------------------------------------------------|----|
| 1. კორპორატიული ინფორმაცია.....                           | 4  |
| 2. მომზადების საფუძველი .....                             | 4  |
| 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა .....     | 5  |
| 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები ..... | 8  |
| 5. ამონაგები რეალიზაციიდან.....                           | 9  |
| 6. თვითღირებულება .....                                   | 9  |
| 7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები .....                | 9  |
| 8. კომერციული ხარჯები .....                               | 9  |
| 9. საპროცენტო შემოსავალი.....                             | 9  |
| 10. მარაგები .....                                        | 9  |
| 11. გაცემული სესხები.....                                 | 10 |
| 12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები .....                      | 10 |
| 13. ფული და ფულის ექვივალენტები .....                     | 10 |
| 14. კაპიტალი .....                                        | 10 |
| 15. გადასახადები.....                                     | 10 |
| 16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები .....                   | 11 |

შპს “მწვანე მუხები”

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის  
თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

|                                       | შენიშვნა | 2024<br>(არააუდიტირებული) | 2023<br>(არააუდიტირებული) |
|---------------------------------------|----------|---------------------------|---------------------------|
| ამონაგები რელიზაციიდან                | 5        | 3,803,450                 | 6,621,547                 |
| თვითღირებულება                        | 6        | (1,654,951)               | (2,416,248)               |
| <b>საერთო მოგება</b>                  |          | <b>2,148,499</b>          | <b>4,205,299</b>          |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები     | 7        | (2,891,742)               | (72,799)                  |
| კომერციული ხარჯები                    | 8        | (22,512)                  | (88,253)                  |
| <b>საოპერაციო (ზარალი)/მოგება</b>     |          | <b>(765,755)</b>          | <b>4,044,247</b>          |
| საპროცენტო შემოსავალი                 | 9        | 14,830                    | 37,935                    |
| მოგება სავალუტო ოპერაციებიდან         |          | 273,010                   | 124,907                   |
| <b>(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე</b>    |          | <b>(477,915)</b>          | <b>4,207,089</b>          |
| მოგების გადასახადი                    |          | (116,897)                 | (83,591)                  |
| <b>წლის სრული (ზარალი)/შემოსავალი</b> |          | <b>(594,812)</b>          | <b>4,123,498</b>          |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 23 სექტემბერს:

შალვა ხუბაშვილი  
დირექტორი

4-11 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

## შპს "მწვანე მუხები"

### მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

|                                       | შენიშვნა | 2024<br>(არააუდიტირებული) | 2023<br>(არააუდიტირებული) |
|---------------------------------------|----------|---------------------------|---------------------------|
| ამონაგები რეალიზაციიდან               | 5        | 3,803,450                 | 6,621,547                 |
| თვითღირებულება                        | 6        | (1,654,951)               | (2,416,248)               |
| <b>საერთო მოგება</b>                  |          | <b>2,148,499</b>          | <b>4,205,299</b>          |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები     | 7        | (2,891,742)               | (72,799)                  |
| კომერციული ხარჯები                    | 8        | (22,512)                  | (88,253)                  |
| <b>საოპერაციო (ზარალი)/მოგება</b>     |          | <b>(765,755)</b>          | <b>4,044,247</b>          |
| საპროცენტო შემოსავალი                 | 9        | 14,830                    | 37,935                    |
| მოგება სავალუტო ოპერაციებიდან         |          | 273,010                   | 124,907                   |
| <b>(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე</b>    |          | <b>(477,915)</b>          | <b>4,207,089</b>          |
| მოგების გადასახადი                    |          | (116,897)                 | (83,591)                  |
| <b>წლის სრული (ზარალი)/შემოსავალი</b> |          | <b>(594,812)</b>          | <b>4,123,498</b>          |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 23 სექტემბერს:

მალვა ხუხაშვილი  
დირექტორი

**შპს “მწვანე მუხები”**

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

|                                               | შენიშვნა | 31 დეკემბერი 2024<br>(არააუდიტირებული) | 31 დეკემბერი 2023<br>(არააუდიტირებული) |
|-----------------------------------------------|----------|----------------------------------------|----------------------------------------|
| <b>აქტივები</b>                               |          |                                        |                                        |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                  |          |                                        |                                        |
| ძირითადი საშუალებები                          |          | 127                                    | 229                                    |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>              |          | <b>127</b>                             | <b>229</b>                             |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                     |          |                                        |                                        |
| მარაგები                                      | 10       | 1,692,749                              | 2,590,745                              |
| გაცემული სესხები                              | 11       | 557,026                                | 332,145                                |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                    | 12       | 4,500,955                              | 5,004,015                              |
| ფული და ფულის ექვივალენტები                   | 13       | 4,216                                  | 3,836                                  |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>                 |          | <b>6,754,946</b>                       | <b>7,930,741</b>                       |
| <b>სულ აქტივები</b>                           |          | <b>6,755,073</b>                       | <b>7,930,970</b>                       |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                      |          |                                        |                                        |
| საწესდებო კაპიტალი                            | 14       | -                                      | -                                      |
| გაუნაწილებელი მოგება                          | 14       | 6,457,227                              | 7,720,454                              |
| <b>სულ კაპიტალი</b>                           |          | <b>6,457,227</b>                       | <b>7,720,454</b>                       |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>                |          |                                        |                                        |
| საგადასახადო ვალდებულება                      | 15       | 19,745                                 | 10,481                                 |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                 | 16       | 278,101                                | 200,035                                |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>            |          | <b>297,846</b>                         | <b>210,516</b>                         |
| <b>სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b> |          | <b>6,755,073</b>                       | <b>7,930,970</b>                       |

## შპს “მწვანე მუხები”

### საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

| (არააუდიტირებული)               | საწესდებო კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ              |
|---------------------------------|--------------------|-------------------------|------------------|
| <b>31 დეკემბერი 2022</b>        | -                  | <b>4,070,640</b>        | <b>4,070,640</b> |
| მიმდინარე წლის სრული შემოსავალი | -                  | 4,123,498               | 4,123,498        |
| გამოცხადებული დივიდენდი         | -                  | (473,684)               | (473,684)        |
| <b>31 დეკემბერი 2023</b>        | -                  | <b>7,720,454</b>        | <b>7,720,454</b> |
| მიმდინარე წლის სრული ზარალი     | -                  | (594,812)               | (594,812)        |
| გამოცხადებული დივიდენდი         | -                  | (668,415)               | (668,415)        |
| <b>31 დეკემბერი 2024</b>        | -                  | <b>6,457,227</b>        | <b>6,457,227</b> |

## 1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „მწვანე მუხები“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2019 წლის 22 მაისს და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405336462.

**ძირითადი საქმიანობა.** კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს „მწვანე მუხები ლისი“ პროექტის ფარგლებში ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარება და შემდგომ მიწების რეალიზაცია. „მწვანე მუხები ლისი“-ს პროექტი მოიცავს დაცულ და გამწვანებულ საცხოვრებელ კომპლექსს, რომლის 70% შეადგენს მწვანე საფარს. ტერიტორია დაყოფილია 44 იზოლირებულ მიწის ნაკვეთად ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის, საკუთარი ეზოსა და პარკინგის სივრცით. 2024 წლის განმავლობაში კომპანიაში დასაქმებული იყო 1 თანამშრომელი.

**იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი.** კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, სულხან ცინცაძის ქ., N26, ბლოკი VIII, კომერციული ფართი, N8-5.

**კომპანიის მეწილეები:** ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის, ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის მეწილეები იყვნენ:

- შალვა ხუბაშვილი- 33.34%
- შპს „ვოლსი ლისი“ - 66.66%

**საქართველოს ბიზნეს გარემო.** კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

## 2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

**შესაბამისობის განცხადება.** აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები,

სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში. ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

**უცხოური ვალუტა.** ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

|                        | საქართველოს ეროვნული ბანკის<br>ოფიციალური კურსი |        |
|------------------------|-------------------------------------------------|--------|
|                        | აშშ დოლარი                                      | ევრო   |
| 2024 წლის 31 დეკემბერი | 2.8068                                          | 2.9306 |
| 2023 წლის 31 დეკემბერი | 2.6894                                          | 2.9753 |

**ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.** ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალი რისკის ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.** სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

#### ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.



### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

#### არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

**მარაგები.** კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

**არაფინანსური აქტივების გაუფასურება.** აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

**სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები.** სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

**სესხები.** სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

**გადასახადები.** საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოგება ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

**საპენსიო შენატანები.** 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

**განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები.** კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

**დამატებული ღირებულების გადასახადი.** გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

**კაპიტალი.** ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

**ამონაგების აღიარება.** ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, ამონაგები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

**სხვა შემოსავალი.** სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

**ხარჯების აღიარება.** მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

**დივიდენდები.** დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

**ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები.** ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

**კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით.** კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიწულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
  - ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
  - მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
  - არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ
- სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

### 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

**საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

შპს “მწვანე მუხები”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

5. ამონაგები რეალიზაციიდან

ამონაგები რეალიზაციიდან სრულად წარმოადგენს მიწის რეალიზაციით მიღებულ შემოსავალს, რომელიც 2024 წელს შეადგენს 3,803,450 ლარს (2023: 6,621,547 ლარი).

6. თვითღირებულება

|                                  | 2024        | 2023        |
|----------------------------------|-------------|-------------|
| რეალიზებული მიწის თვითღირებულება | (1,654,951) | (2,344,872) |
| სხვა                             | -           | (71,376)    |
| სულ                              | (1,654,951) | (2,416,248) |

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

|                                                 | 2024        | 2023     |
|-------------------------------------------------|-------------|----------|
| საექვო და უიმედო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი | (2,791,843) | -        |
| შრომის ანაზღაურება                              | (55,661)    | (3,697)  |
| საკონსულტაციო ხარჯები                           | (26,059)    | (21,737) |
| საგადასახადო ხარჯი                              | (11,893)    | (24,580) |
| კომუნალური ხარჯები                              | (1,354)     | (8,336)  |
| ბანკის ხარჯი                                    | (391)       | (434)    |
| ცვეთა და ამორტიზაცია                            | (102)       | (102)    |
| სხვა                                            | (4,439)     | (13,913) |
| სულ                                             | (2,891,742) | (72,799) |

8. კომერციული ხარჯები

კომერციული ხარჯი სრულად წარმოადგენს მარკეტინგულ ხარჯს, რომელიც 2024 წელს შეადგენს 22,512 ლარი (2023: 88,253 ლარი).

9. საპროცენტო შემოსავალი

მუხლი სრულად წარმოადგენს დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხებიდან მიღებულ საპროცენტო შემოსავალს, რომელიც 2024 წელს შეადგენს 14,830 ლარი (2022: 37,935 ლარი).

10. მარაგები

|                        | 31 დეკემბერი<br>2024 | 31 დეკემბერი<br>2023 |
|------------------------|----------------------|----------------------|
| მიწები                 | 1,206,292            | 1,585,214            |
| დაუმთავრებელი წარმოება | 480,186              | 998,582              |
| სხვა მარაგი            | 6,271                | 6,949                |
| სულ                    | 1,692,749            | 2,590,745            |

## შპს “მწვანე მუხები”

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

#### 11. გაცემული სესხები

მუხლი სრულად წარმოადგენს დაკავშირებულ მხარეებზე გაცემულ სესხებს, რომელიც 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 557,026 და 332,145 ლარს.

#### 12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                                       | 31 დეკემბერი<br>2024 | 31 დეკემბერი<br>2023 |
|---------------------------------------|----------------------|----------------------|
| სავაჭრო მოთხოვნები                    | 7,179,383            | 4,850,810            |
| მოკლევადიანი ავანსები                 | 113,415              | 153,205              |
|                                       | <b>7,292,798</b>     | <b>5,004,015</b>     |
| საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვი* | (2,791,843)          | -                    |
| <b>სულ</b>                            | <b>4,500,955</b>     | <b>5,004,015</b>     |

\*სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების შეფასების მიზნით კომპანიამ გამოიყენა ინდივიდუალური გაუფასურების მეთოდი.

#### 13. ფული და ფულის ექვივალენტები

|                                | 31 დეკემბერი<br>2024 | 31 დეკემბერი<br>2023 |
|--------------------------------|----------------------|----------------------|
| ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში   | 2,813                | 2,491                |
| ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში | 1,403                | 1,345                |
| <b>სულ</b>                     | <b>4,216</b>         | <b>3,836</b>         |

#### 14. კაპიტალი

##### საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა გაწერილია წესდების მიხედვით და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 0 ლარს (2023: 0 ლარი). ინფორმაცია კომპანიის მეწილეების შესახებ მოცემულია პირველ შენიშვნაში.

##### დივიდენდები

პარტნიორთა კრება წყვეტს გასაცემი დივიდენდების ოდენობის საკითხს და ადგენს დივიდენდების გაცემის და განაწილების წესს.

2024 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა და გასცა დივიდენდი 668,415 ლარის ოდენობით (2023: 473,684 ლარი).

#### 15. გადასახადები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

შპს “მწვანე მუხები”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

|                       | 31 დეკემბერი<br>2024 | 31 დეკემბერი<br>2023 |
|-----------------------|----------------------|----------------------|
| სავაჭრო ვალდებულებები | 215,812              | 70,334               |
| მიღებული ავანსები     | 61,331               | 129,701              |
| სხვა                  | 958                  | -                    |
| <b>სულ</b>            | <b>278,101</b>       | <b>200,035</b>       |